პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელიც ჩაირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროგრამის მიზანია:

- ✓ მოამზადოს სატყეო დარგის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, საერთაშორისო მოთხოვნების შესატყვისი სატყეო საქმის ბაკალავრი;
- ✓ ჩამოუყალიბოს სატყეო სფეროში თანამედროვე მიღწევების, ტყის ეკოსისტემების მოვლის, დაცვის, აღდგენის, გაშენების, მდგრადი მართვის, უწყვეტი და მრავალმიზნობრივი სარგებლობის პრინციპების, ტყეების ბიომრავალფეროვნების დაცვისა და კონსერვაციის საჭირო ცოდნა და უნარები.
- ✓ კურსდამთავრებულებს შეუქმნას სატყეო მიმართულებით სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელებისა და პროფესიული განვითარებისთვის მყარი საფუძველი.

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და პროფესიული)

- ტყის ეკოსისტემების ფართო ცოდნის საფუძველზე ახდენს ტყის მცენარეთა იდენტიფიცირებას და კლასიფიცირებას მცენარეთა სისტემატიკის მიხედვით;
- განიხილავს ტყის ეკოსისტემების ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის ex-situ და in-situ მართვის მექანიზმებს, რესურსების გონივრული გამოყენების გზით.
- ხსნის ურბანული ტყის ეკოლოგიურ, სოციალურ და ეკონომიკურ მნიშვნელობას, ურბანული მეტყევეობის დაგეგმვის, ხელოვნური ნარგავების და პლანტაციური მეურნეობების გაშენებისა და მართვის პრინციპებს;
- მიმოიხილავს ტყის მოვლა-დაცვის (ტყის მავნებელ-დაავადებები, ტყის ხანძრები), აღდგენა-გაშენების, უწყვეტი და მრავალმიზნობრივი ტყითსარგებლობის პრინციპებს;
- მონაწილეობს ტყის აღდგენისა და გაშენების ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში;
- აკვირდება ტყის მავნებელ-დაავადებებს და განსაზღვრავს ბრძოლის შესაბამის ღონისძიებებს
- მონაწილეობს ხე–ტყის დამზადების ტექნოლოგიური სქემების შემუშავებაში და არჩევს ხე–ტყის დამზადების წარმოებისთვის თანამედროვე აღჭურვილობებს და მანქანა -მოწყობილობებს,
- შესრულებული სატყეო-სატაქსაციო სამუშაოების საფუძველზე, აღრიცხავს და აანალიზებს შესაბამის მონაცემებს და აყალიბებს დასკვნებს.;
- მონაწილეობს ტყის მართვის გეგმის შემუშავებისა და განხორცილების პროცესში;
- ასრულებს კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტს/ნაშრომს წინასწარგანსაზღვრული მითითებების შესაბამისად.
- აცნობიერებს ტყის ეკოსისტემების გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური ფუნქციების მნიშვნელობას;
- ხელს უწყობს საკუთარი და სხვების უწყვეტი პროფესიული განვითარების დაგეგმვას და განხორციელებას.

კონცენტრაცია 1

- ✓ წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად პრაქტიკაში ახორციელებს: ტყის ნიადაგის შეფასებას, ტყის მცენარეთა და მავნებელ - დაავადებათა იდენტიფიცირებას, შესაბამის ბრძოლის ღონისძიებებს;
- ✓ წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად პრაქტიკაში ახორციელებს: ტყის მეტყევურ-დენდრომეტრიული მახასიათებლების აღრიცხვა დადგენას.

კონცენტრაცია 2

- ✓ წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად პრაქტიკაში ახდენს ხე–ტყის დამზადების ტექნოლოგიური სქემების შემუშავებას, ხე–ტყის დამზადების წარმოებისთვის თანამედროვე აღჭურვილობების და მანქანა -მოწყობილობების შერჩევა გამოყენებას;
- ✓ წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად პრაქტიკაში შეუძლია შესრულებული სატყეო-სატაქსაციო სამუშაოების საფუძველზე, საველე სამუშაოებზე აღრიცხვა, გაანალიზება, შესაბამისი საპრევენციო, ბრძოლის ღონისძიებების დაგეგმვა და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება.

კონცენტრაცია 3

- ✓ წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად შეუძლია პრაქტიკაში ტყის მოვლა-აღდგენისა და გაშენების ღონისძიებების დაგეგმვა, განხორციელება, უწყვეტი და მრავალმიზნობრივი ტყითსარგებლობა, ტყის მართვის გეგმის შემუშავებასა და განხორციელებაში მონაწილეობა.

შეფასების სისტემა:

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.

დადებითი შეფასებებია:

- **(A)** - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- **(B)** - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- **(C)** - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- **(D)** - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- **(E)** - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- **(FX)** - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- **(F)** - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სასწავლო კურსების ჩამონათვალი კრედიტების მითითებით

№	სასწავლო კურსი	კრედიტი
1.	მათემატიკის საფუძვლები	5
2.	ქიმიის შესავალი	4
3.	ბოტანიკა. მცენარეთა სისტემატიკა	4
4.	ეკოლოგიის საფუძვლები	4

5.	გამოყენებითი ინფორმატიკის საფუძვლები 1	4
6.	**უცხოური ენა I – (არჩევითი სასწავლო კურსები)**	
6.1	ინგლისური ენა – 1	**5**
6.2	რუსული ენა - 1	
6.3	ფრანგული ენა – 1	
6.4	გერმანული ენა – 1	
7.	ტყის ზოოლოგია	4
8.	სახელმწიფო ენის სპეციალური კურსი	**5**
9.	ზოგადი ფიზიკა 2	4
10.	ვარიაციული სტატისტიკა	4
11.	მცენარეთა მორფოლოგია და ანატომია	5
12.	**უცხოური ენა II – (არჩევითი სასწავლო კურსები)**	
12.1	ინგლისური ენა – 2	**5**
12.2	რუსული ენა - 2	
12.3	ფრანგული ენა – 2	
12.4	გერმანული ენა – 2	
13.	სატყეო მეტეოროლოგია და კლიმატოლოგია	4
14.	აკადემიური წერა	5
15.	**არჩევითი ჰუმანიტარული სასწავლო კურსები**	
15.1	ფილოსოფიის საფუძვლები	**3**
15.2	შესავალი ფსიქოლოგიაში	
15.3	საქართველოს ისტორია	
15.4	ენობრივი კომუნიკაციების თანამედროვე ტექნოლოგიები	
15.5	კულტურა და თანამედროვეობა	
15.6	პოლიტოლოგია	
16.	სატყეო გეოდეზია	4
17.	მცენარეთა ბიოქიმიის საფუძვლები	4
18.	დენდროლოგია 1-შიშველთესლოვანები	5
19.	**უცხოური ენა III – (არჩევითი სასწავლო კურსები)**	
19.1	ინგლისური ენა – 3	**5**
19.2	რუსული ენა - 3	
19.3	ფრანგული ენა – 3	
19.4	გერმანული ენა – 3	
20.	სატყეო პოლიტიკა და კანონმდებლობა	4
21.	მიკრობიოლოგია	4
22.	კონსერვაციული ბიოლოგია	4
23.	დენდროლოგია 2-ფარულთესლოვანები	5
24.	**უცხოური ენა IV – (არჩევითი სასწავლო კურსები)**	
24.1	ინგლისური ენა – 4	**5**
24.2	რუსული ენა - 4	
24.3	ფრანგული ენა – 4	
24.4	გერმანული ენა – 4	
25.	ნიადაგმცოდნეობა	5

26.	სატყეო ენტომოლოგია	5
27.	სატყეო ფიტოპათოლოგია	5
28.	დენდრომეტრია	5
	1. კონცენტრაცია	
23.1	დენდროლოგია 2-ფარულთესლოვანები	5
24.	**უცხოური ენა IV – (არჩევითი სასწავლო კურსები)**	
24.1	ინგლისური ენა – 4	**5**
24.2	რუსული ენა - 4	
24.3	ფრანგული ენა – 4	
24.4	გერმანული ენა – 4	
25.1	ნიადაგმცოდნეობა	5
26.1	სატყეო ენტომოლოგია	5
27.1	სატყეო ფიტოპათოლოგია	5
28.1	დენდრომეტრია	5
29.	დაცული ტერიტორიები	5
30.	გამწვანება და დეკორი	5
31.	**სპეციალობის სავალდებულო არჩევითი კომპონენტები (სასწავლო კურსები)-10**	
31.1	სამკურნალო მცენარეები	**5**
31.2	წყლის რესურსების მენეჯმენტი	
31.3	ნადირობის საფუძვლები და სამონადირეო მეურნეობა	
31.4	მცენარეთა ფიზიოლოგია	
31.5	მსოფლიო სატყეო მეურნეობა	
32.	**თავისუფალი კომპონენტები (სასწავლო კურსები) -5 კრედიტი**	5
33.	გეოგრაფიულ-ინფორმაციული სისტემები სატყეო საქმეში	5
34.	სატყეო ტაქსაცია	5
35.	სატყეო მექანიზაცია და ტყის ტრანსპორტი	5
36.	მერქანმცოდნეობა	5
37.	ტყეთმცოდნეობა	5
38.	ტყის დაცვის საფუძვლები	5
	2. კონცენტრაცია	
33.1	გეოგრაფიულ-ინფორმაციული სისტემები სატყეო საქმეში	5
34.1	სატყეო ტაქსაცია	5
35.1	სატყეო მექანიზაცია და ტყის ტრანსპორტი	5
36.1	მერქანმცოდნეობა	5
37.1	ტყეთმცოდნეობა	5
38.2	ტყის დაცვის საფუძვლები	5
39.	ტყის კულტურები	5
40.	აგრომეტყევეობა	5
41.	მეტყევეობა	5
42.	ტყეთმოწყობა	5
43.	ურბანული მეტყევეობა	5

44.	სატყეო მეურნეობის ეკონომიკა	5
45.	ტყეთსარგებლობა	6
46.	სატყეო მელიორაცია	4
	3. კონცენტრაცია	
45.1	ტყეთსარგებლობა	6
46.1	სატყეო მელიორაცია	4
47.	საველე პრაქტიკა	15
48.	საბაკალავრო ნაშრომი	5